დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერება, მაგისტრატურა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

29 აპრილი, 2024

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: ეკატერინე

გვარი: ბაკარაძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერება
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მე-7
4	კვალიფიკაციის დასახელება	ენათმეცნიერების მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0232 - ლიტერატურა და ლინგვისტიკა
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი[5]	თსუ I კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. No1), VIII კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. No13)
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული N 183125 16 თებერვალი 2023
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	15/02/2023
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების	1 წელი - 2024 წლის 15 თებერვალი

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

	შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2030 წლის 15 თებერვალი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდებულია, დამსაქმებელთა ინტერესების გათვალისწინება, საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისას აუცილებელია სახელმწიფო ხედვა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება, რათა კურსდამთავრებულები ადვილად მოერგონ სამუშაო ადგილებს, გამოიყენონ პროფესიული ცოდნა, წარმართონ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ეფექტურად და შექმნან თანამშრომლობითი გარემო. თანამედროვე ციფრული ერა ფილოლოგიურ სპეციალობებს სთავაზობს დასაქმების ფართო შესაძლებლობებს, ამ შესაძლებლობის გამოყენებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის ადეკვატური სწავლის შედეგები;
2. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისათვის;
3. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს უცხო ენის B2 დონეზე ცოდნა;
4. რეკომენდებულია სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში (სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება), ინტერაქციას როგორც სტუდენტებსა და პერსონალს, ასევე თავად სტუდენტებს შორის;
5. რეკომენდირებულია ტრენინგის ჩატარება ონლაინ და შერეული სწავლების მეთოდებსა და ინსტრუმენტებზე აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას ელექტრონული/დისტანციური სწავლება შესაბამისი მეთოდების გამოყენებით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

შეფასდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია სტანდარტებთან 1, 2 და კონკრეტულად, კომპონენტებთან 1.2; 1.3; 2.1 და 2.3; მიმართებით. დამატებით გამოთხოვილ იქნა სასწავლო კურსების სილაბუსები.

---

[6]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

რჩევ(ებ)ი[8]

1.უფრო მჭიდრო კოორდინაცია პერსპექტიულ დამსაქმებლებსა და მოდულების შემქმნელებს შორის სასარგებლო იქნება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების სათანადოდ მომზადება შრომის ბაზარზე გასასვლელად და დამსაქმებლის საჭიროებების დაკმაყოფილება;

2.სასწავლო გეგმაში შესაძლებელია კავკასიის შესწავლის უფრო გლობალური მიდგომის ჩართვა. ეს მოიცავს საქართველოს კონტაქტების აღიარებას ახლო აღმოსავლეთის სამყაროსთან, აგრეთვე ქართული და კავკასიის სხვა ლიტერატურებს შორის ურთიერთობის შესწავლას;

3.განხილულ იქნეს დაბალი მიღების პროგრამების შერწყმა ან მოდიფიცირება, რათა ისინი უფრო პოპულარული გახადოთ;

4.შემოთავაზებულია დამატებითი უცხო ენის კურსების დამატება, განსაკუთრებული აქცენტით კითხვისა და წერის აკადემიურ უნარებზე, რაც გაზრდის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების კვლევის პოტენციალს საერთაშორისო დონეზე;

5.შემოთავაზებულია დოქტორანტების სემინარის მსგავსი აქტივობის ან კურსის ინტეგრირება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში, რაც უზრუნველყოფს საბაკალავრო და სამაგისტრო კვლევების ეტაპობრივ გაუმჯობესებას რეგულარული ზედამხედველობის ქვეშ;

6.შემოთავაზებულია კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობის შესახებ ინფორმაციისა და ცალკე შესაბამისი დოკუმენტების (სტუდენტების თანაავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები) შეგროვება და მიწოდება;

7.მიზანშეწონილია, სამაგისტრო/სადოქტორო დისერტაციების ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმების შემუშავება. მიზანშეწონილია, დოქტორანტის ხელმძღვანელების მაქსიმალური ლიმიტის გადახედვა;

8.სასურველია სტუდენტური სივრცეების რაოდენობის გაზრდა უნივერსიტეტში;

9.სასურველია სასწავლო კურსებით უზრუნველყოფილი ელექტრონული რესურსების, სწავლებისა და კვლევის ციფრული ელემენტების ეფექტური რეალიზაციისათვის მატერიალურტექნიკური ბაზის ინტენსიური გამოყენება, რაც ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის ძალისხმევას აღნიშნული რესურსის შეთავაზებისა და სტუდენტების მოტივაციის ამაღლების კუთხით.

---

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში შემავალი ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული რჩევების გათვალისწინების თაობაზე ანგარიშის მოსამზადებლად სამუშაო პროცესის დაგეგმვა მოხდა ანალოგიურად, ფილოლოგიის პროგრამული განვითარების კომიტეტის სხდომაზე.

პროგრამისთვის მიცემული რჩევების გაზიარების მიზანშეწონილობის საკითხზე იმუშავეს აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებმა და პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა ჯგუფმა; საკითხი განხილულ იქნა პროგრამული განვითარების კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად ესწრებოდნენ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის და საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები. პროგრამული განვითარების კომიტეტის მუშაობა ასახულ იქნა მის ოქმებში.

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I[14]	რეკომენდებულია, დამსაქმებელთა ინტერესების გათვალისწინება, საგანმანათლებლო პროგრამების

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.
[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში
[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	შექმნისას აუცილებელია სახელმწიფო ხედვა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება, რათა კურსდამთავრებულები ადვილად მოერგონ სამუშაო ადგილებს, გამოიყენონ პროფესიული ცოდნა, წარმართონ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ეფექტურად და შექმნან თანამშრომლობითი გარემო. თანამედროვე ციფრული ერა ფილოლოგიურ სპეციალობებს სთავაზობს დასაქმების ფართო შესაძლებლობებს, ამ შესაძლებლობის გამოყენებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის ადეკვატური სწავლის შედეგები;
შეფასება	რეკომენდაციის პასუხად, დაწესებულებამ წარმოადგინა ფილოლოგიის კლასტერის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავდა დამსაქმებლებში ფილოლოგიის, ლიტერატურათმცოდნეობისა და ენათმეცნიერების მიმართულების პროგრამების კურსდამთავრებულებზე მოთხოვნისა და დასასაქმებელი პირებისაგან მოთხოვნილი კომპეტენციებისა და იმ წინააღმდეგობების იდენტიფიცირებას, რასაც კურსდამთავრებულები აწყდებიან დასაქმების პროცესში. დაწესებულების აზრით, კვლევის შედეგი, ისევე, როგორც რეკომენდაცია - „ციფრული ერის დასაქმების ფართო შესაძლებლობების ფილოლოგიური სპეციალობებისთვის გამოყენებასა და პროგრამის ადეკვატური სწავლის შედეგების უზრუნველყოფა“, შესაბამისობაშია სამაგისტრო პროგრამის მიზანებსა და შედეგებთან. უფრო კონკრეტულად: პროგრამის მიზანთა შორისაა: „სტუდენტს მისცეს არსებითი დარგობრივი ცოდნა და კვლევა-ძიების გამოცდილება ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სფეროში; გამოუმუშაოს ლინგვისტური პრობლემების დასმის, საჭირო რესურსების მოძიების, შესწავლისა და გადაჭრის, ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე შესაბამისი განზოგადებების ჩამოყალიბებისა და დასკვნის უნარი... საფუძვლიანად მოამზადოს მაგისტრანტი ენათმეცნიერების სფეროში მისი პროფესიული სპეციალიზაციისთვის, რისთვისაც აძლევს მას, ... ლინგვისტიკის გამოყენებითი ასპექტების - კომპიუტერული ლინგვისტიკის, ექსპერიმენტული ფონ ეტიკის, სოციოლინგვისტიკის,

	ფსიქოლინგისტიკის, ტექსტის ექსპერტიზისა და ლინგვოკრიმინალისტიკის - ძირითადი თეორიებისა და მეტაენის ცოდნას“. მსგავსად, ციფრული ტექნოლოგიების კომპეტენციები სწავლის შედეგებშიც არის გამოყოფილი: ცოდნა და გაცნობიერება: პროგრამის კურსდამთავრებულები სამაგისტრო პროგრამის გავლის შედეგად იძენენ ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების საფუძვლების ისეთ ცოდნას, რომელიც მათ შესაბამის სფეროებში დამოუკიდებელი ორიენტაციის, კვლევის, საკითხების დასმის, მოსაზრებათა ორიგინალური განვითარებისა და პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას მისცემს. კურსდამთავრებულები მომზადდებიან, როგორც თანამედროვე ენათმეცნიერების ფართო დიაპაზონის სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ენათა ტიპოლოგიურ კვლევას როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ ჭრილში, ასევე, ენათა ისტორიული მიმართებების კვლევას მიკრო და მაკრო ნათესაობის თვალსაზრისით. გამოყენებითი ასპექტების არჩევის შემთხვევაში მათ შეეძლებათ თავიანთი ცოდნის რეალიზაცია ექსპერიმენტული ლინგვისტიკის, ფსიქოლინგვისტიკის, სოციოლინგვისტიკის, კომპიუტერული ლინგვისტიკისა და, ასევე, ტექსტის ლინგვისტური ექსპერტიზისა და ლინგვოკრიმინალისტიკის სფეროში. გარდა ამისა, პროგრამის დასაქმების ნაწილში მოხსენიებულია: „პროგრამის კურსდამთავრებულები საქმიანობენ ისეთ პრაქტიკული ღირებულებების მქონე სფეროებში, როგორებიცაა: სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლინგვისტური ექსპერტიზა ლინგვოკრიმინალისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა და სოციოლინგვისტიკა; მათ, ასევე, წვლილი შეაქვთ ხელოვნური ინტელექტის შექმნისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარების პროცესში: ისინი მონაწილეობენ სხვადასხვაგვარი კომპიუტერული პროექტებისა თუ პროგრამების შემუშავებაში.“ რეკომენდაციის შესრულებას დამატებით ადასტურებს ის ფაქტიც, რომ პროგრამაში დამსაქმებელთა მოთხოვნების შესაბამისად, ინტეგრირებულია რამდენიმე კურსი ენის თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების სწავლებაზე და ითვალისწინებს ციფრული ტექნოლოგიების (ტექსტურ მონაცემთა ბაზების, ტექსტების დიგიტალიზაციის, ენის კორპუსების შექმნა-გამოყენების უნარის)

	განვითარების კომპონენტს, რაც ზრდის განახლებული პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებს. კურსების სილაბუსები დამატებით გამოვითხოვეთ დაწესებულებიდან (ექსპერიმენტული ფონეტიკა; კომპიუტერული ლინგვისტიკა; ტექსტის ლინგვისტიკა; ინფორმაციის სტრუქტურირება და ტექსტის აგება; ფსიქოლონგვისტიკა; საველე მეთოდები და სხვ.). რეკომენდაცია შესრულებულია
რჩევა[15]I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამების შრომითი ბაზრის კვლევის დოკუმენტი; • თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის პროგრამული კომიტეტის ოქმები; • თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა და სასწავლო გეგმა. • შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსები: - ექსპერიმენტული ფონეტიკა; - ენათა ტიპოლოგიები და უნივერსალიები; - კოგნიტიური ლინგვისტიკა; - ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია; - საველე მეთოდები

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.3 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია II	რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისათვის;
შეფასება	რეკომენდაციის შესრულების ნაწილში დაწესებულება აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაცია კლასტერულია და უშუალოდ ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამას არ მიემართება, დაწესებულებამ წარმოადგინა იმ აქტივობების ჩამონათვალი, ასევე პერიოდულობა, თუ როგორ მოხდა და შემდეგში როგორ განხორციელდება სტუდენტებისა თუ სხვა

[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	დაინტერესებული პირების ინფორმირება პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებასთან, ძველი პროგრამის ახალთან თავსებადობასთან, თუ სხვა საკითხებთან მიმართებით: • განახლებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის განთავსება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდზე; • საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, პროგრამებით დაინტერესებულ პირებთან; • ტუტორიალის გააქტიურება სწავლის დაწყებამდე, სემესტრული რეგისტრაციის პერიოდებში; • საუნივერსიტეტო ღია კარის დღეების ორგანიზება; • რიგ შემთხვევებში ინფორმაციის გავრცელება პროგრამების შესახებ სოციალური ქსელებით სტუდენტური მიღწევებისა და წარმატებების შესახებ და სხვა. რეკომენდაცია შესრულებულია
რჩევა II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება ძველი და ახალი, აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობების დამტკიცების შესახებ (ამონაწერი ფაკულტეტის საბჭოს 2023 წ. 23 მარტის სხდომიდან; ოქმი No 4); • თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ გვერდი; • თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის პროგრამული კომიტეტის სხდომათა ოქმები.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.1 პროგრამით დაშვების წინაპირობები
რეკომენდაცია III	სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს უცხო ენის B2 დონეზე ცოდნა;

შეფასება	ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის ანგარიშში აღნიშნულია, რომ რეკომენდაცია კლასტერულია და საფუძვლად ექსპერტთა მიერ დასკვნის აღწერით ნაწილში მოხსენიებულია პროგრამის სასწავლო კურსების უცხოენოვანი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის დაძლევა მაგისტრანტის მიერ. კლასტერულ აკრედიტაციაზე წარდგენის მომენტში თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, დაწესებულების მიერ დადგენილი წინაპირობების შესაბამისად, ენობრივი კომპეტენციების ნაწილში შემდეგ მოთხოვნას აყენებდა: „უცხოური (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) ენის B1 დონეზე ცოდნის დადასტურებით გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით)“. აღნიშნული ჩანაწერი გახდა ფაქტობრივად რეკომენდაციის საფუძველი. ამ საფუძვლის მართებულობის შემოწმების და აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების მიზნით, პროგრამაში განმახორციელებელმა პირებმა გადასინჯეს ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ „უცხოენოვანი სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურა ზოგადად იმდენად ნაკლებია მათში, რომ მაგისტრანტს ამ ლიტერატურის დასაძლევად პროგრამაზე შემოსვლის მომენტშივე უცხო ენის (ინგლისური / გერმანული / ფრანგული) B2 დონეზე ცოდნის საჭიროება, პრაქტიკულად არ აქვს“. დამატებით, სამაგისტრო პროგრამის წინაპირობად უცხოური (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) ენის B2 დონით განსაზღვრის მიზანშეწონილობის საკითხზე იმსჯელეს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებმა და პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა ჯგუფმა; საკითხი განხილულ იქნა ჯერ პროგრამული განვითარების კომიტეტის სხდომაზე, შემდეგ კი ფაკულტეტის საბჭოზე, რაც დასტურდება თანდართული ოქმით (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო

	პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის ოქმი#1, 15 იანვარი 2024 წ.). საუნივერსიტეტო ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის, ასევე სტუდენტთა ცოდნის დონის ამაღლების საჭიროების უცხოურ ენებში გაცვლით სასწავლო პროგრამებსა და საერთაშორისო სტუდენტურ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების გათვალისწინებით, ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა შემდეგი: „უცხოური (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) ენის B1 / B2 დონეზე ცოდნის დადასტურება FCE ტესტური ფორმატის გამოცდით (მიღებული ქულის მიხედვით ენის ფლობის დონის განსაზღვრა: 71-100 B2; 51 - 70 B1) ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატით. ამასთან, B2 დონით შემომსვლელი მაგისტრანტები თავისუფლდებიან პროგრამის სასწავლო გეგმით შეთავაზებული ინგლისური/ გერმანული /ფრანგული B2.1 და B2.2 კურსების გავლის ვალდებულებისგან“. გარდა ამისა, პროგრამას დაემატა ორი ახალი ინგლისურენოვანი არჩევითი კურსი (კოგნიტიური ლინგვისტიკა; ანთროპოლოგიური ლინგვისტიკა). დაწესებულების აზრით, უცხო ენების (განსაკუთრებით, ინგლისურის) ცოდნის დონის ამაღლებაზე ზრუნვა რეაკრედიტებული პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტია და ინგლისურენოვანი დარგობრივი სასწავლო კურსების მომზადება-დანერგვა პერმანენტული პროცესია, რომელიც გაგრძელდება და დამატებითი ანალიზის საფუძელზე, წინაპირობა კიდევ გადაისინჯება. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიღების წინაპირობების ფორმულირებაში არ იკვეთება, თუ კონრეტულად რომელი ენობრივი კომპეტენციის დადგენას ემსახურება ჩანაწერი „უცხოური (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) ენის B1 / B2 დონეზე ცოდნის დადასტურება FCE ტესტური ფორმატის გამოცდით (მიღებული ქულის მიხედვით ენის ფლობის დონის განსაზღვრა: 71-100 B2; 51 - 70 B1)“ - B1 თუ B2. ასევე, არჩევით კომპონენტში ინგლისურენოვანი სასწავლო კურსის დამატება არ გულისხმობს სტუდენტის მიერ ამ კომპონენტის არჩევის უზრუნველყოფას. გარდა ამისა,

	სამაგისტრო საფეხურზე კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, მნიშვნელოვანია უცხოენოვან წყაროებზე მუშაობა, კვლევის შედეგების ინტერნაციონალიზაციისთვის, კვლევის შედეგების საერთაშორისო დონეზე დისემინაციისათვის უმნიშვნელოვანესია ენობრივი კომპეტენციების სულ მცირე, B2 დონეზე დადასტურება. ზემოთხსენებული მსჯელობიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაცია პროგრამის მაგისტრანტთათვის უცხოური ენების ცოდნის დონის ამაღლების შესახებ მეტწილად შესრულებულია.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის აღწერა და სასწავლო გეგმა, დამტკიცებული თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოზე (18.01.2024 ოქმი No1) და თსუ აკადემიურ საბჭოზე (07. 02. 2024). • ინგლისურენოვანი არჩევითი კურსების: კოგნიტიური ლინგვისტიკა; ანთროპოლოგიური ლინგვისტიკა სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სწავლებისა და სწავლის მეთოდები
რეკომენდაცია IV, V	რეკომენდებულია სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში (სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება), ინტერაქციას როგორც სტუდენტებსა და პერსონალს, ასევე თავად სტუდენტებს შორის; რეკომენდირებულია ტრენინგის ჩატარება ონლაინ და შერეული სწავლების მეთოდებსა და ინსტრუმენტებზე აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას ელექტრონული/ დისტანციური სწავლება შესაბამისი მეთოდების გამოყენებით.

შეფასება	რეკომენდაციების შესრულების მიზნით, ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების განმახორციელებელმა პერსონალმა ცვლილებები შეიტანა შეფასების კრიტერიუმებში, რამდენიმე სასწავლო კურსში შეიცვალა მეორე შუალედური წერითი შეფასების ფორმა პრეზენტაციით, რაც დასტურდება წარმოდგენილი სასწალო კურსების სილაბუსებით (ექსპერიმენტული ფონეტიკა; ენათა ტიპოლოგია და უნივერსალიები; კოგნიტიური ლინგვისტიკა; ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია საველე მეთოდები). თუმცა, სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამრავალფეროვნება შესაბამისი ცვლილებების შეტანა მუდმივი პროცესია. ფაკულტეტზე ხდება პერსონალის განმავითარებელი ტრენინგების შეთავაზება თსუ უწყვეტი განათლების ცენტრისა თუ თსუ ვიზიტორი შესაბამისი პროფილის უცხოელი პროფესურის მიერ, რის შესახებ ინფორმაციაც თსუ ვებ გვერდზე თავსდება და საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტით ეგზავნება პროფესურას. რეკომენდაციები შესრულებულია
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• დაწესებულების ვებ-გვერდი; • შემდეგი სასწალო კურსების სილაბუსები: ○ ექსპერიმენტული ფონეტიკა; ენათა ტიპოლოგია და უნივერსალიები; ○ კოგნიტიური ლინგვისტიკა; ○ ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია; ○ საველე მეთოდები

ექსპერტის ხელმოწერა